Шპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორის

2017 წლის 18 ივლისის N200 ბრძანებით შექმნილი

LLC united water supply company of georgia
Digitally signed by LLC united water supply company of georgia
Date: 2019.10.11 17:55:56 +04'00'

სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი N1

ქ. თბილისი

11 ოქტომბერი, 2019 წელი

კომისიის თავმჯდომარე:
ზაზა სიხარულიძე - დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში;
კომისიის წევრები:
ირაკლი ურუშაძე - დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში;
მაია გიქოშვილი - დირექტორის მოადგილე კომერციულ საკითხებში;
ლაშა ერქომაიშვილი - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი;
გიორგი ბრეგაძე - შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი;
ნინო მაჩაიძე - ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;
ლევან ლატარია - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
კომისიის აპარატის წევრი:
თამთა ფაჩულია - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

დღის წესრიგი:

ტექნიკურ საკითხებში დირექტორის მოადგილის ზაზა სიხარულიძის 2019 წლის 18 სექტემბრის N1-94762 და საპროექტო დეპარტამენტის უფროსის ბექა ნარიმანიძის 2019 წლის 11 ოქტომბრის N1-104679 წერილების საფუძველზე **„ქ. მარნეულში, იაღლუჯის დასახლებაში 31 ბენეფიციარისთვის წყალსადენის და წყალარინების გარე ქსელების მოწყობის“ სამუშაოების (CPV-45231300 - წყლისა და საკანალიზაციო მილსადენების მშენებლობა)** შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობების განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრის თამთა ფაჩულიას გამოსვლა, რომელმაც სატენდერო კომისიის წევრებს გააცნო შემდეგი ინფორმაცია:

1. ელექტრონული ტენდერის სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი;
2. ზემოაღნიშნულ წერილზე თანდართული ტექნიკური დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1 049 852 ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აღნიშნეს რომ იგი შეესაბამება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და

დაადგინეს:

1. **„ქ. მარნეულში, იაღლუჯის დასახლებაში 31 ბენეფიციარისთვის წყალსადენის და წყალარინების გარე ქსელების მოწყობის“ სამუშაოების** შესყიდვა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მეთოდით (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე-აბრევიატურით NAT) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-15[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით დადგენილი ვადების გათვალისწინებით.
2. დამტკიცდეს **„ქ. მარნეულში, იაღლუჯის დასახლებაში 31 ბენეფიციარისთვის წყალსადენის და წყალარინების გარე ქსელების მოწყობის“** შესყიდვის უზრუნველსაყოფად გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

კომისიის თავმჯდომარე:		/ზაზა სიხარულიძე/
კომისიის წევრი:	ვრ ესწრებოდა	/ირაკლი ურუშაძე/
კომისიის წევრი:	ვრ ესწრებოდა	/მაია გიქოშვილი/
კომისიის წევრი:		/ლევან ლატარია/
კომისიის წევრი:		/გიორგი ბრეგაძე/
კომისიის წევრი:		/ნინო მაჩაიძე/
კომისიის წევრი:		/ლაშა ერქომაიშვილი/
კომისიის აპარატის წევრი:	თ. ფაჩულია	/თამთა ფაჩულია/